14

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**კავკასიის კავშირი რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიისა.**

# სათადარიგო ჯარის-კაცთ!

ჯარს კრებენ... მეფის ბრძანებით სათადარიგო ჯარის-კაცთა ათ და ასიათასებს იწვევენ სამსახურში...

თქვენ ერთხელ უკვე გაიარეთ სამხედრო სკოლა. თქვენ კიდევ გახსოვთ, როგორ თქვენ, ჯანსავსე ახალგაზდები, მოგაშორეს თავიანთ სოფელ-ქალაქებს, მოგაშორეს ოჯახებს, მოგგლიჯეს მოხუც დედ-მამას, ახალგაზდა ცოლებსა და დანიშნულთ, ძმებსა და დებს, ჩაგამწყვდიეს შეხუთულ და ამყრალებულ ყაზარმებში, გაგრეკეს რამდენიმე ათას ვერსის მანძილზე საშობლოს ადგილებიდან. გახსოვთ, როგორ თქვენ, უბრალო ჯარის კაცები, იძულებული იყავით თავი დაგემცირებინათ აფიცერთ წინაშე; თქვენ გახსოვთ ლანძღვა-გინება, ყვირილი, ცემა-ტყეპა, დატუსაღება, თოფით ხელში გაჩერება და სხვა ათასი სასჯელი ყოველ უმნიშვნელო საქციელისთვის, რომელიც არ მოსწონდა მთავრობას; გახსოვთ, როგორ გწრთვნიდენ და ამ მიზნით ცდილობდენ ამოეფხვრათ თქვენგან შეგნება ადამიანური ღირსებისა, ამოეფხვრათ თქვენგან გლეხი, მუშა, ხელოსანი, ნოქარი, როგორიც იყავით წინეთ და გადაექციეთ უბრალო მანქანათ, რომელსაც შეუძლია სამხედრო წესისამებრ სიარული, თოფის დაჭერა, კაცის კარგათ მოკვლა, „ურას“ ძახილი და რაც უმთავრესია— გაუსჯელათ ასრულება მთავრობის ყოველი ბრძანებისა. თქვენ გახსოვთ ისიც, რასაკვირველია, როგორ ნელ-ნელა ეჩვეოდით ყოველ ბრძანების დაუფიქრებლათ ასრულებას; გახსოვთ, როგორ თან-დათან უფრო-და-უფრო გრძნობდით, რომ თქვენ ,,სალდათი'' ხართ, რომლის უპირველესი ვალდებულებაა მთავრობას თვალებში უცქიროს. თქვენს წინაშე ჩვეულებრივი ფართო თავისუფალი ცხოვრება იყო, ცხოვრება თვისი ჭირ-ვარამითა და სიხარულით; კაცები ღელავდენ, უკმაყოფილებას აცხადებდენ ათასგვარ ძარცვა-გლეჯის წინაალმდეგ; თქვენ-კი ყაზარმის რკინის კედლებში ჩამწყვდეულნი ცხოვრობდით თავისი საკუთარი ,,სალდათური'' ცხოვრებით მის თოფის ქნევისა და პარადებით, ლოთობითა და მოწყენილობით. ხალხი მის უბედურებითა და საქმით უცხო იყო თქვენთვის, და თქვენც, შებორკილი სასტიკი ,,დისციპლინით'' უცხო იყავით მისთვის. და შეიძლება, როცა თქვენ, ხალხის შვილები, გამოყავდით აჯანყებულ გლეხთა და მუშათა წინაალმდეგ, რომელნიც თხოულობდენ პურსა და თავისუფლებას, ბევრ თქვენგანში შიში მთავრობის დისციპლინის დარღვევის წინაშე ახშობდა გონება-სინიდისის ხმას, რომელიც მედგრათ გიწვევდათ თქვენ იმ ,,ბუნტოვშჩიკებისაკენ'', რომელნიც თქვენს წინაშე იდგენ,—იმ გლეხებისა და მუშებისაკენ, რომელთა წრიდან თქვენ გამოხვედით. კომანდირის ნება, მეფის ბრძანება თქვენს თვალში მეტს მნიშვნელობას იძენდა, ვინემ ბრძანება გონება-სინიდისისა და თქვენც ველარ ხედავდით ხალხში თქვენს ძმებს. შეიარაღებულნი ხმლებით, ხიშტებით და თოფებით იცავდით თქვენ მეფისა და ჩინოვნიკებისა, მემამულეებისა და ვაჭარ-მრეწველების ინტერესებს და თვისი ძლიერებით მუდამ თავზარს ცემდით თქვენს ძმებს ყოველთვის, როცა ისინი ცდილობდენ მოეგლიჯათ თავის დაღლილ ზურგიდან თუნდაც ნაწილი იმ საუკუნო დამონებისა, რომელიც მათ ამძიმებს.

მარა ძნელი დრო გავიდა. სალდათური კატორღა თქვენთვის გათავდა. თქვენ დაუბრუნდით პატიოსან შრომით სავსე ცხოვრებას, რომლისგანაც თქვენ გამოგტაცა სამხედრო სამსახურმა; თქვენ დაუბრუნდით ადგილ-მამულს, ფაბრიკას, სახელოსნოს, მაღაზიას, და ნელ-ნელა ცდილობდით კვლავ კაცი გამხდარიყავით. ხელ-ახლა წარმოდგა თქვენს წინაშე ის უღელი, რომლისგანაც წვალობდით სალდათობამდე, რომელიც მუდამ ავალებდა თქვენს ძმებსა და ნათესავებს, მთელს ხალხს, ის უღელი, რომლის წინაღმდეგ იბრძოდენ თქვენი ძმები მაშინაც, როცა თქვენ ცხოვრებას გაშორებოდა ყაზარმის შავი კედლები და სამხედრო მუნდირი. თქვენ წინაშე კვლავ გაჩნდა მემამულე, რომელიც ტყავს გაძრობთ მიწის საიჯარო გადასახადით,—რომელიც ცდილობს დაგიმონოთ, როცა თქვენ საშინელ გაჭირვებას ითმენთ; თქვენ კვლავ შეუდექით მუშაობას მთელი თვისი ძალღონით, ნახევარჯერ უჭმელნი, სანახევროთ გამოუძინებელნი, შეუდექით, მუშაობას, რომ თქვენ ბატონებს ეცხოვრათ ფუფუნებაში. თქვენ კვლავ გძარცვავთ მეფის მთავრობა მის ჩინოვნიკებითა და პოლიციელებით, გძარცვავთ უკანასკნელი გროშის წართმევით, გადასახადით: შაქარზე, ჩაიზე, თამბაქოზე, სპიჩკაზე, ნავთზე, არაყზე, ჩითზე, რკინაზე, და თქვენ კვლავ იკრძნეთ, რა გრძნიაბა აღელვებთ თქვენს ძმებს; თქვენ კვლავ გაიგეთ, რატომ აცხადებენ წინაალმდეგობას მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი გლეხები,—რატომ გამოდიან ქალაქის ქუჩებზე მუშები თავისუფლების მოსათხოვნელათ—თავისუფლების ხაზეინთა ძარცვა-გლეჯისაგან, თავისუფლების მეფის მთავრობის ყვლეფა-თვითნებობისაგან. და ბევრი თქვენგანი კვლავ ჩადგა ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა რაზმში.

და აი ახლა მეფის ნებით იაპონიასთან საბრძოლველათ კვლავ გიწვევენ სამსახურში, მეორეჯერ გაცმევენ სალდათის ტანისამოსს. რა მიზეზის გამო ატყდა ომი? იმის გამო, რომ მეფემ მინისტრებით და მძარცველთა გროვით, რომელთაც სურთ ხელი მოითბონ სხვისი ბედნიერებით, დაიპყრო მანჯურია და ხელი წაუპოტინა კორეიას. ეს ქვეყნები ჩვენგან ძალიან შორსაა და სჭირია თუ არ ის რუსეთის ხალხს იმ ხალხს, რომელიც ხნავს და თესს, მუშაობს, ფაბრიკებში, სახელოსნოში, რომელიც თავის შრომით კვებავს მთელ ხროვას ვაჭარ-მრეწველთა, მემამულეებსა და მღვდლებს, ჩინოვნიკებსა და სამხედრო პირებს და თვით მეფის მრავალ-რიცხოვან ოჯახს?

სჭირია თუ არა ეს ქვეყნები ხალხს? უნდა თუ არ მას დაიპყროს, გაგზავნოს მათ დასაპყრობათ თავისი შვილები სასიკვდილოთ, სამხედრო ხარჯების დასაფარავად რამდენიმე ასი მილლიონი მანეთი?

აი თქვენ, სათარიგო ჯარის კაცთ გიწვევენ ჯარში ათასობით. დეე, ყველა თქვენგანმა კითხოს თავის თავს, თავის მშობლებს, მეზობლებს, ნათესავებს: რომელ მათგანს უნდა მანჯურია, ვის სურს სისხლი დაღვაროს ამ შორეულ ქვეყნისათვის, როცა ჩვენში, რუსეთშიაც მიწა და სხვა სიმდიდრე საკმაოა, მხოლოდ ის მუქთახორების ხელშია, რომლებმაც ათასგვარ ხრიკებით ხალხს წაართვეს ის

ყველა თქვენგანმა მიუგოს ამ კითხვაზე, და მაშინ დაინახავთ, რომ ხალხს მანჯურია, არ სჭირია, რომ მის გულისათვის იაპონიასთან ომი არავის უნდა, რომ ხალხს არ მიუსაკუთრებია სხვისი ქვეყანა, ხალხს არ გამოუწვევია ეს ომი. ყველა ეს მოიმოქმედეს მეფემა და მისმა მინისტრებმა, სხვა-და-სხვა ჩინოვნიკებთან ერთად. აი სწორედ მათ და იმ მძარცველთ, რომელნიც შინაც სწოვენ ხალხის სისხლს უნდათ მანჯურია. მეფეს-კი სჭირია იმ მიზნით, რომ მას უნდა რაც შეიძლება მეტი ბატონობა, უნდა ახალ დაპყრობილ ქვეყნებში ადგილ-მამულის დარიგებით იყიდოს ჩინოვნიკებისა, თავად-აზნაურობისა და მღვდლების ერთგულება,—მეფეს უნდა გამოიჩინოს

თავისი ძლიერება და კიდევ ისესხოს ფული საზღვარ-გარეთ, რადგან რუსეთის ხალხისაგან ბევრს ვეღარ აიღებს—საბოლოოდ გაანადგურა ის მეფის ბატონობამ. ფული და ბატონობა-კი მეფეს უნდა იმ მიზნით, რომ უფრო მეტ გაჭირვებაში ჩააგდოს მშრომელი ხალხი, არ მისცეს თავისუფლება ხალხს, ის თავისუფლება, რომელიც თითქმის ყველა ქვეყნებშია, სხვათა შორის იაპონიაშიაც, საცა, კანონებს სცემენ ხალხის მიერ არჩეული პირები. აი რისთვის უნდა მეფეს მანჯურია და აი რა მიზნით გზავნის ასი-ათასობით სალდათებს საკლეტათ.

და როცა თქვენც წაგრეკენ საომრათ, იცოდეთ, ხალხის საქმისათვის-კი არ მიდიხართ სასიკვდილოთ, არამედ მეფის ბატონობისათვის, ჩინოვნიკების თვითნებობისათვის, ხალხის ზურგიდან აგლეჯილ სიმდიდრის მძარცველთა ხელში შესანახათ. იცოდეთ, რომ ხალხის ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის-კი არა, არამედ მეფისათვის უნდა შეუშვიროთ გული ყუმბარებს, მტრის ტყვიებს, ხიშტებს,—იაპონელთა წინააღმდეგ-კი არა, ხალხის წინააღმდეგ იბრძოლებთ; თავისი ხელებით თქვენ გასჭედთ მძიმე ბორკილებს თქვენთვისა და ხალხისათვის, და თქვენი გვამებით მეფე გაიკვალავს გზას კიდევ მეტი ბატონობისა და თვითნებობისაკენ, ძალ-დატანებისა და ხალხის გაძარცვისაკენ. თვითმპყრობელობის სადიდებლათ, მეფის შეუზღუდველ უფლების სახელით, ხალხის დამონების სახელით უნდა დატოვოთ სახლ-კარი, მოშორდეთ ოჯახებს, სასწორზე დადვათ თქვენი სიმრთელე, თქვენთვის ძვირფასი სიცოცხლე. დაფიქრდით ამაზედა ნუთუ საერთო მედგარი ხმა: ,,ძირს თვითმპყრობელობა‘‘! —არ ამოხდება თქვენი მკერდიდან?

ძირს თვითმპყრობელობა, ძირს მეფის უფლება, რომელიც საშვალებას აძლევს მას ხალხის დაუკითხავათ, ხალხის ნების წინააღმდეგ აგზავნოს მისი შვილები დასახოცათ, სასიკვდილოთ! ხალხი თვით უნდა განაგებდეს თავის ბედ-იღბალს, ხალხი თვით უნდა სცემდეს კანონებს, აწერდეს გადასახადს, ზრუნავდეს თავის ბედნიერებაზე! ხალხისთვის საჭიროა პოლიტიკური თავისუფლება, **დემოკრატიული რესპუბლიკა**, ისეთი სახელმწიფო წყობილება, სადაც მეფე აღარ არის და ყველაფერს განაგებს ხალხისგან არჩეულ პირთა კრება, რომელიც ნიშნავს მინისტრებსა და ჩინოვნიკებს მხოლოდ ამნაირ წესრიგის დროს შესძლებს ხალხი იბრძოლოს თავის სრულის განთავისუფლებისათვის, შესძლებს დაამკვიდროს ისეთი საზოგადოებრივი წყობილება, როცა ყველა ადგილ-მამული, ფაბრიკები, ზავოდები ეკუთვნის მდიდართა ერთ მუჭას კი არა, რომელნიც ნებივრებაში და უსაქმურობაში ლევენ სიცოცხლეს, არამედ—მთელ ხალხს; ერთი სიტყვით დაამკვიდრებს ისეთს წესრიგს, რომ არავის არ შეეძლოს იცხოვროს სხვისი შრომით; დაამკვიდრებს **სოციალისტურ წყობილებას.**

გახსოვდეთ ყველა ეს და როცა ხელ-ახლა ჩაგაცმევენ სალდათის მუნდირს დღე, ის ნუ დაახშობს თქვენ გონება-სინდისის ხმას. თქვენ ხომ კვლავ გახდით სამშობლო ქვეყნის მოქალაქენი სალდათობის შემდეგ, მუდამ უნდა დარჩეთ ასეთი. შეიძლება, ყველა თქვენგანი არ წაიყვანონ შორეულ აღმოსავლეთში, შეიძლება ბევრი თქვენგანი დატოვონ სხვა და სხვა ქალაქებში იმ ჯარის ნაცვლათ, რომელსაც საომრათ გისტუმრებენ! გახსოვდეთ: როცა კვლავ გამოგიყვანენ ,,ბუნტოვჩიკების‘‘ წინააღმდეგ, მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ, რომელნიც თხოულობენ პურსა და თავისუფლებას, ნუ იგრძნობთ თავს უცხოთ ამ თქვენ ძმების გროვასთან შედარებით და თქვენი ხელები წინანდებურათ ნუ ამხედრდება ამ უიარაღო ხალხის წინააღმდეგ, რომელიც აღდგა თავისუფლებისათვის საბრძოლველათ!

მშრომელი ხალხი მთელ რუსეთში ემზადება საბრძოლველათ. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის დროშის ქვეშ ის იბრძვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, იბრძვის თავისუფლებისათვის —დემოკრატიულ რესპუბლიკის დასამყარებლათ, იბრძვის სოციალისტურ წეს-წყობილებისათვის; და ამხანაგები ასობით დაიღუპენ ამ სახელოვან ბრძოლაში მეფის ჯარის ხიშტებისა და ტყვიებისაგან. შეფიცეთ, რომ არასოდეს არ აიღებთ იარაღს თქვენი ძმების წინააღმდეგ! შეფიცეთ, როცა თქვენ გამოგიყვანენ მათ მოსაკლავათ, თქვენ შეუერთდებით მათ, მათთან ერთად იბრძოლებთ თავისუფლებისათვის; მათთან ერთად მედგრათ დასძახებთ:

**ძირს თვითმპყრობელობა და ომი!**

**გაუმარჯოს მშვიდობიანობასა და თავისუფლებას!**

**გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!**

**გაუმარჯოს სოციალიზმს!**

,,ისკრის‘‘ რედაქცია.

გადმობეჭდილია **თბილისის კომიტეტის**-მიერ.

სტამბა თბილისის კომიტეტისა.